ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №18 (7095) 18 სექტემბერი 2023 წელი

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

15 სექტემბერს საქართველოს სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, დავით გოგბერაშვილთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ქეთევან შეყრილაძესთან ერთად სოფელ ბარდუბნის ახლად რეაბილიტირებული საჯარო სკოლა ადგილზე დაათვალიერა და საზეიმო განწყობას შეუერთდა.

სასკოლო ღონისძიებას ასევე ბარდუბნისა და ეწრის მაჟორიტარ დეპუტატი, გოჩა ვერულაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხელმძღვანელმა პირებმა პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით, ბარდუბნის საჯარო სკოლაში შიდა ინტერიერი და სპორტული დარბაზი მოეწყო, ასევე დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა.

იმავე დღესვე, მერის ინიციატივით, ღვანკითის საჯარო სკოლის პედაგოგს, ეთერ ტურავას „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის“ ჯილდო გადაეცა. ეთერ ტურავა 1986 წლიდან აქტიურად ჩაერთო საგანმანათლებლო საქმიანობაში და ღვანკითის საჯარო სკოლაში ჩვეული ენერგიითა და პროფესიონალიზმით ემსახურება საყვარელ საქმეს.

აქვე შეგახსენებთ, რომ განათლების ხელშეწყობის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით, სტუდენტებს, რომლებმაც 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით სახელმწიფო გრანტი მოიპოვეს ფულად ჯილდო გადაეცემა.

დიდი პატივისცემით მინდა თითოეულ მასწავლებელს მივულოცო 2023-2024 სასწავლო წელი, თითოეულ მოსწავლეს კი ვუსურვებ ნაყოფიერი და შინაარსიანი სწავლით მიაღწიონ წარმატებებს.

ძალიან ბედნიერი ვარ დღეს თქვენთან ერთად, ვისურვებდი მომავალ წლებში ბევრი პირველკლასელი და მეტი მომავალი თაობები აღზრდილიყონ ბარდუბნის საჯარო სკოლაში.

მანუჩარ რობაქიძე,
15 სექტემბერი, 2023 წელი

ჯილდო მაქსიმალური საგამოცდო ქულებისათვის

სიხარულია, როდესაც თერჯოლაში ასეთი გონიერი და მიზანდასახული ახალგაზრდები არიან. მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, 52 გრანტიანი სტუდენტი გვყავს. გადავწყვიტეთ თითოეულ მათგანს ფულადი ჯილდო გადავცეთ. მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, უკვე დაწყებულია წარმატებულ სტუდენტთა საბუთების მიღება, ასევე მაქვს სურვილი და გამოვხატავ მზაობას პირადად შევხვდე და გავიზიარო მათი სიხარული და წარმატება. აქვე, მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მშობელსა და მასწავლებელს გაწეული შრომისთვის.“

საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარმა დეპუტატმა ბეჟან წაქაძემ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერთან, მანუჩარ რობაქიძესთან ერთად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, მაქსიმალური ქულების მქონე სამი სტუდენტი ფულადი პრიზებით დააჯილდოვა.

ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, ასევე დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები: ბონდო სოფრომაძე,ზვიად გვადიბაძე და მალხაზი ლოლაძე ესწრებოდნენ.

ხელმძღვანელმა პირებმა ახალგაზრდებს მიღწეული წარმატება მიულოცეს და სამომავლოდ მხარდაჭერას დაპირდნენ.

**მანუჩარ რობაქიძე: „განსაკუთრებულად საამაყო და სასიამოვნოა ასეთი ადამიანების ყოფნა ჩვენ გვერდით. ეს ბავშვები ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფენას ქმნიან ჩვენ ქვეყანაში, ამ ადამიანებზე ბევრ ინვესტიციას ვაკეთებ, ბევრ ინვესტიციას ვაკეთებ ადამიანურ კაპიტალში, ეს ბავშვები ეს ინვესტიციაა ჩვენ ქვეყანაში, ეს ინვესტიციაა ჩვენ ქალაქში, ეს ინვესტიციაა ჩვენ სოფლებში, ეს ინვესტიციაა ჩვენ ოჯახებში, ეს ინვესტიციაა ჩვენ ოჯახებში, ეს ინვესტიციაა ჩვენ ოჯახ

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

ახალი სახლები სოციალურად დაინტერესებულ ოჯახებს

აქტიურ ფაზაშია თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოციალურად შეჭირვებული ათი ოჯახისათვის სახლების მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან, დავით გოგბერაშვილთან და ჯემალ ისაკაძესთან ერთად, სოფელ ალისუბანში, თავასასა და ძევრში იმყოფებოდა, სადაც დასრულებული სახლები დაათვალიერა და ბენეფიციარებს გაესაუბრა.

ამ დროისათვის დასრულებულია 5 ბენეფიციარის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, პროცესი გრძელდება და უახლოეს დღეებში კიდევ ხუთი სახლი აშენდება. მუნიციპალიტეტის მერიის „სახლდაზიანების პროგრამის“ ფარგლებში, საერთო ჯამში, საცხოვრებელი სახლით 29 ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი.

სამუშაო შეხვედრას, ალისუბნის მაჟორიტარი დეპუტატი, ბადრი ბუცხრიკიძე ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



27 ოქტომბერი — მასწავლებლის ეროვნული დღე

მასწავლებლის ეროვნული დღე ყოველი წლის 27 ოქტომბერს – ქართველი პედაგოგის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს აღინიშნება.

ამასთან, აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ყოველწლიურად, საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ღვაწლმოსილ პედაგოგებს გადაეცემა მასწავლებლის ეროვნული პრემია – სპეციალურად შექმნილი სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო 10 000 ლარის ოდენობით.

ინიციატივის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, შეიკრიბება იმ მასწავლებელთა ისტორიები, რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებით განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ მოსწავლეების, სასკოლო საზოგადოებისა, თუ თემის განვითარებაში. ამის შემდეგ სპეციალურად დაკომპლექტებული კომისია, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან ცნობილი სახეები სხვადასხვა სფეროდან, გამოავლენს წლის საუკეთესო მასწავლებლებს.

ანსამბლ „ფორტეს“ შემოქმედებითი საღამო თერჯოლაში

ამ ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მრავალი მაცხოვრებელი და მოწვეული სტუმარი ესწრებოდა.

ანსამბლი „ფორტე“ მსმენელის წინაშე ყველასათვის საყვარელი და პოპულარული სიმღერებით წარსდგა. ემოციებით დატვირთული საღამო მსმენელთა დიდი მოწონებითა და აპლოდისმენტებით დასრულდა.

მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ ღონისძიების ორგანიზატორებსა და სპონსორებს, ასევე მონაწილეებს მადლობა გადაუხადა და სამომავლოდ წარმატებული საქმიანობა უსურვა.

აღნიშნული კონცერტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბიზნესმენის, ავთო კოჩაძის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

ქეთევან შეყრილაძე: „ვფიქრობთ, რომ ახალი სასწავლო წელი კვლავაც არაერთ წარმატებას და გამარჯვებას მოგვიტანს“

უფლის ნებით, 15 სექტემბერს კიდევ ერთი სასწავლო წლის დაწყების მაუწყებელი ზარმა დარეკა და ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების მერხებს 3585 მოსწავლე მიუჯდა. აქედან 295 პირველკლასელია.

ამ დღისთვის მზადება კარგახნის წინ დაიწყო...

ემზადებოდნენ სამინისტროები...

ემზადებოდა ჩვენი მუნიციპალიტეტი...

ემზადებოდნენ სკოლები...

მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები...

მთავარი სიახლე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციაა.

ავტორიზაცია არის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომლის მიზანია დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება, მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა დაწესებულებაში დაიდენფიტიცირებული გამოწვევების გადასაჭრელად.საავტორიზაციო შეფასება ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს.

ამ პროცესში ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ამ ეტაპზე 4 სკოლაა ჩართული: სიქთარვის, ჩხარის №2 რუფოთისა და ჩხარის №1 საჯარო სკოლები. მათგან სამში უკვე იმყოფებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, ოქტომბრის დასაწყისში მათ უკვე ჩხარის №1 სკოლაშიც ვიხილავთ.

ავტორიზაცია უკვე წარმატებით გაიარა კერძო სკოლამ „მზეკაბანი 2007“ და თერჯოლის №2 საჯარო სკოლამ.

სკოლების ავტორიზაციისათვის ერთერთი მთავარი პირობა სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობაა. სამწუხაროდ, ეს პროცესები ნელა მიმდინარეობს. დღედღეზე ველოდებით სიახლეებს თერჯოლის №1 და ღვანკითის საჯარო სკოლებისათვის. ალტერნატიულ ფართში სულ მალე კიდევ ერთ, ზედა სიმონეთის საჯარო სკოლას მოუწევს გადასვლა, სადაც რემონტი სავარაუდოდ, ოქტომბრიდან უნდა დაიწყოს.

სკოლებს უკვე მიღებული აქვთ სასკოლო სახელმძღვანელოები და პირველკლასელებისათვის გადასაცემი ბუკები.

ახალი სასწავლო წელი გვპირდება, რომ საინტერესო იქნება, მანამდე კი გასულს გადავავლოთ თვალი.

საბაზო საფეხური წარმატებით დაასრულა და საჩუქრად ლეპტოპი დაიმსახურა 55 მოსწავლემ.

სკოლის საშუალო საფეხური სხვადასხვა წარმატებით 313 ახალგაზრდამ დაძლია. აქედან, 74 მედალოსანია.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული თითქმის ყველა კურსდამთავრებული, სტუდენტი გახდა.

მათ შორის 52 გრანტის მფლობელია:

100% გრანტით - 9
70% გრანტით -11
50% გრანტით - 32

სწავლას და განათლებას ჩვენს მუნიციპალიტეტში ყოველთვის ჰქონდა მხარდაჭერა და აღიარება. უკვე წლებია, მედალოსან კურსდამთავრებულებს ფულადი საჩუქარი გადაეცემათ. წელს კი ჩვენს წარმატებულ, გრანტოსნებს მერმა, ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ განსაკუთრებული სიურპრიზი მოუწყო. 100% - იანი გრანტის მფლობელები - 500 ლარით, 70% - იანები 400, ხოლო 50% - იანები 300 ლარით დასაჩუქრდებიან.

თავისი მხარდაჭერა და ყურადღება მაქსიმალურქულიანი აბიტურიენტების მიმართ გამოხატა მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბატონმა ბეჟან წაქაძემ, რომელიც პირადად შეხვდა სამივე სტუდენტს და სოლიდური ფულადი ჯილდო გადასცა მათ.

ჩვენი მოსწავლე - ახალგაზრდობის ესოდენ წარმატებულ სწავლა-განათლების საქმეს 537 მასწავლებელი ემსახურება, რომელთაგან 17 მენტორია, 169 - წამყვანი, დანარჩენი კი - უფროსი.

სასიხარულოა, რომ წელს კიდევ ერთ პედაგოგს, ქალბატონ ეთერ ტურავას, მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება, გადაეცა სიგელი, სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ განხორციელებული პროექტიც, „ჩონგური საქართველოა“, გასულმა სასწავლო წელმა მიითვალა. დაწვრილებით მასზე აქ აღარ შევჩერდებით, უბრალოდ ვიტყვით, რომ სამომავლოდ „საზღვრები“ უფრო გავშალეთ და ახალი პროექტით, „დედამიწა ჩვენი სახლია“ - წარვსდგებით სასკოლო საზოგადოების (და არა მარტო) წინაშე.

საგანმანათლებლო რესურსცენტრი სრულიად სასკოლო საზოგადოებას კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, რომელიც, ვფიქრობთ, რომ კვლავაც არაერთ წარმატებას და გამარჯვებას მოგვიტანს.

სასექტემბრო ზარები

წელს სიქთარვის საჯარო სკოლაში 120 მოსწავლისათვის დაირეკა სექტემბრის ზარი. 7 პირველკლასელი პირველად მიუსხდა მერხს. სკოლის დირექტორმა ია კვატაიამ ახალი სასწავლი წლის დაწყება მიულოცა მოსწავლეებს, მშობლებს, განსაკუთრებით პირველკლასელებს, ისაუბრა განვლილი სასწავლო წლის შედეგებზე, ჰყავდათ 10 კურსდამთავრებული, შვიდი აბიტურიენტი იყო და შვიდივე ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. პირველკლასელებს გადაეცათ პირადი კომპიუტერები და წიგნები.

საქართველოს ჰიმნის ფონზე აღმართეს ეროვნული დროშა.

***

თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში 453 მოსწავლე ისწავლის, მათ შორის 45 პირველკლასელი. სკოლის დირექტორი რუსუდან უსუფაშვილი მიესალმა მოსწავლეებს, მიულოცა სასწავლო წლის დაწყება და წარმატებები უსურვა მათ.

წელს საჯარო სკოლა 33 ახალგაზრდამ დაამთავრა, 22 სტუდენტი გახდა, მაღალია გრანტოსანთა რიცხვიც. ქალბატონმა რუსუდანმა აღნიშნა იმ მუხლჩაუხრელ შრომაზე, რაც კარგად აისახა ეროვნულ გამოცდებზე და იმაზეც, რომ სკოლამ ავტორიზაცია მიიღო, ხაზი გაუსვა პედაგოგების და მშობლების ნაყოფიერ თანამშრომლობას.

მოსწავლეებს და მშობლებს მიესალმა დაწყებითი კლასების პედაგოგი ზოია ბუცხრიკიძე, ახალგაზრდა დამწყები პედაგოგი თიკო კუპატაძე, პირველკლასელებმა ლექსები წაიკითხეს. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო“—უთხრეს პირველკლასელებს.

და იყო ბევრი ყვავილი, ერთმანეთის მოფერება და იმ დიდი სიხარულის განცდა, რაც ყოველთვს ახლავს სასექტემბრო ზარებს.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

ბავშვი რომ დამოუკიდებელი და ბედნიერი იყოს

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხიანი პროგრამა ბავშვს აღიარებს და ეპყრობა, როგორც საგანმანათლებლო პროცესის აქტიურ მონაწილეს. თითოეულ ბავშვს აქვს თავისი გამორჩეული ცხოვრება უნიკალური ოჯახით, ტრადიციებითა და ცხოვრების წესით. საბავშვო ბაღში ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ აღიარებულია თავისი უნიკალურობით.

ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის საბავშვო ბაგა-ბაღებში განხორციელებული პროგრამის ფარგლებში დირექცია, აღსაზრდელ-პედაგოგები და მათი დამხმარეები ცდილობენ ბავშვის ინდივიდუალურ ინტერესებზე დაყრდნობით და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებით—ბავშვი იყოს დამოუკიდებელი და ბედნიერი.

მიმდინარე წელი გამოწვევაა საქართველოში სკოლამდელი განათლების მიმართულებით. კერძოდ, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გარდამავალ პერიდოში, 2030 წლის 1 იანვრამდე უნდა განხორციელდეს საბავშვო ბაგა-ბაღების ეტაპობრივი ავტორიზაცია. დაწყებულია თვითშეფასების პროცესი. მიმდინარე წლის ივლისის თვეში ჩვენი მუნიციპალიტეტის 16 საბავშვო ბაგა-ბაღმა გაიარა თვითშეფასება (10 საბავშვო ბაღი სექტემბრის თვეში გაივლის). თვითშეფასების კითხვარი შედგენილი სტანდარტების მიხედვით, დასრულებული სახით გადაეგზავნა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც საფუძვლად დაედება ავტორიზაციის გავლის განრიგს 2029 წლის ბოლომდე.

აღნიშნული თვითშეფასება დაგვეხმარება უფრო ეფექტიანად და რეალურi საჭიროებების გათვალისწინებით დაიგეგმოს გარდამავალი პერიოდი. აღნიშნულi პროცესის მიმდინარეობისას, დაგვეხმარებიან ხარისხის მართვის ცენტრის სპეციალისტები.

საბავშვო ბაგა-ბაღებში ახალი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დაიწყება მიმდინარე წლის 18 სექტემბერს.

ახალ სასწავლო წელს თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღი ახალმოსახლეობას იზეიმებს, თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ ძალიან ლამაზ შენობაში. საბავშვო ბაგა-ბაღის ყველა სივრცითი ფართი აღჭურვილია შესაბამისი საბავშვო და ორგანიზაციული მართვისათვის საჭირო ინვენტარით, აღნიშნული ბაღის მშენებლობა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და მისმა ღირებულებამ შეადგინა 2 243 845 ლარი, 250 000 ლარი კი დაიხარჯა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღსაჭურავად.

ნათელი, მზიანი, ფართო ოთახები მეთოდოლოგიის შესაბამისად მოწყობილი, დიდი ლამაზი დარბაზი ბუნებრივი განათებით, სათამაშოები. ეზოს ატრაქციონები—პატარებს, მათ მშობლებს და თითოეულ ადამიანს დიდ სიხარულს მიანიჭებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროექტი განხორციელდა აწგარდაცვლილის ბატონი ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით, რომელმაც ყოფილი შენობის ავარიული მდგომარეობის გამო მყისიერად მიიღო გადაწყვეტილება ახალი მშობლიური საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ.

მიმდინარე წელს დაიწყო ასევე უკვე რიგით მეცხრე ახალი ბაღის მშენებლობა ძევრის ტერიტორიულ ერთეულში, რომელიც 2024 წლის ბოლოს დასრულდება.

ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ფილიალებს აფინანსებს, პროგრამა შეადგენს 4 365 000 ლარს, რის ფარგლებშიც ფინანსდება დასაქმებულთა ხელფასები და ორგანიზაციული მართვის ყველა ხარჯი. ყველა საბავშვო ბაღში განხორციელდა HACCP პროგრამის დანერგვა, რაც გულისხმობს კრიტიკულ საკონტროლო წერილებiს სისტემას, რომლის მიხედვით სურსათის უვნებლობიდან გამომდინარე მთელი რიგი ღონისძიებები ხორციელდება ყოველდღიურად სამზარეულოში, ამ მიმართულებით გაწეულმა ხარჯმა 110 000 ლარი შეადგინა. 27 000 ლარი დაიხარჯა სათამაშოების შეძენაზე, ყველა ბაღს გადაეცა ქსეროქსის აპარატი, რომლის ღირებულება იყო 26 800 ლარი, საკანცელარიო ნივთების შეძენაზე კი დაიხარჯა 26 000 ლარი. 78 700 ლარი კი დაიხარჯა ეწრის ბაღის ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე, 30 000 ლარი დაიხარჯა მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისათვის.

საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვის პოლისტური ანუ მთლიანობითი განვითარება შესაბამისი გარემოს შექმნითა და საგანმანათლებლო რესურსის შეთავაზებით მიიღწევა, აქედან გამომდინარე პრიორიტეტად გვაქვს დასახული ადგილობრივ ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდოს სკოლამდელი განათლების მიმართულებით გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი.

ჩვენ კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ მნიშვნელოვანია გარემო სთავაზობდეს მრავალფეროვან რესურსს, მასალებს, რომელზეც ბავშვებს სრული ხელმისაწვდობა ექნება.

მაია თორთლაძე

როგორ სრულდება ინფრასტრუქტურული პროექტები...

ტრადიციულად, გაზეთი „თერჯოლა“ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების მიმდინარეობას.

წელიწადის ეს პერიოდი ამ მხრივ მეტად დაძაბულია, რადგან, როგორც წესი, სამუშაოთა დიდი ნაწილი სწორედ დროის ამ საშემოდგომო მონაკვეთზე მოდის.

სწორედ ამიტომ, გაზეთის ამ ნომრიდან სისტემატურად მოგაწოდებთ ინფორმაციებს თუ როგორ სრულდება განსაზღვრული ინფრასტრუქტურული სამუშაოები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე.

ამჯერად გთავაზობთ ინფორმაციებს სოფელ ღვანკითიდან, რუფოთსა და ნახშირღელიდან.

ღვანკითი

ინტენსიურად მიმდინარეობს სოფელ ღვანკითში ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები. წარმატებით განხორციელდა და დასრულდა ღვანკითი-თერჯოლის დამაკავშირებელი ცენტრალური გზის მშენებლობა სანიაღვრე არხებით, ცხაურებით და ასფალტის საფარით, რომელიც გასულ წელს დაიწყო.

სოფელში დასრულების ფაზაშია მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში დიდთოვლობისას დაზიანებული გივი გამეზარდაშვილისა და ნინო რობაქიძის საცხოვრებელი სახლების აღდგენითი სამუშაოები. უმოკლეს ვადაში ორივე ოჯახი აღდგენილ და უსაფრთხო სახლებს ჩაიბარებენ. პროექტი ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

2023 წელს სოციალური პროგრამით გათვალისწინებული რაიონის მასშტაბით, ათი შეჭირვებული ოჯახის ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ერთ-ერთი სახლი, რომელიც სოფელ ღვანკითში მცხოვრებ დალი ჯოხაძესთვისაა განკუთვნილი უკვე აშენდა, დასრულებულია ყველა სამუშაო და ქალბატონი დალი მალე ახალმოსახლეობას იზეიმებს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ღვანკითში დაგეგმილია 7 მცირე პროექტის განხორციელება. აღნიშნული პროექტისათვის გამოყოფილი 20 000 ლარის ფარგლებში მოეწყობა გარე განათება, სანიაღვრე და ცხაურები. რესურსები უკვე მობილიზებულია. როგორც „თერჯოლასთან“ საუბარში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ტარიელ კუბლაშვილი აცხადებს ეს პროექტი სექტემბრის ბოლოსთვის უკვე დასრულებული იქნება.

კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია ღვანკითიდან:

კუბლაშვილების უბანში ციცაბო აღმართი ადგილობრივ მოსახლეობას ნორმალური გადაადგილების საშუალებას უზღუდავდა. მოსახლეობამ დახმარება მუნიციპალიტეტის მერიას სთხოვა, რომელმაც მოსახლეობის თხოვნასა და ინიციატივას მხარი დაუჭირა და 200 კვადრატული მეტრი გზისათვის საჭირო ცემენტით და შერეული ქვიშით დაეხმარა. მოსახლეობამ გზის მშენებლობისათვის სხვა საჭირო მასალა საკუთარი სახსრებით შეიძინა და სამუშაოებიც თვითონ ჩაატარა. კუბლაშვილების, ქარქაშაძეების და ჭანტურიძის უბნის გზის კეთილმოწყობის სამუშაოებში აქტიურად მუშაობდნენ: მალხაზ, ზვიად, ალექსანდრე, დავით, ანზორ, ვანო, გოგი, გიორგი, რომან კუბლაშვილები, ტარიელ, გიორგი, თემურ ქარქაშაძეები და სხვები.

მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევითა და დახმარებით, ასევე სოფლის მცხოვრებთა ჩართულობით, კიდევ ერთი აღდგენილ-გალამაზებული გზის მონაკვეთი შეემატა სოფელს, რაც ნორმალური გადაადგილების საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას.

რუფოთი

ზურაბ გოგიაშვილი—(მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ რუფოთსა და ტელეფაში) გვატყობინებს, რომ სოფელში ინტენსიურად მიმდინარეობს წყალსადენის დამონტაჟება-გამრიცხველიანების სამუშაოები. მისივე განმარტებით, ორივე სოფელში შესრულებულია სამონტაჟო სამუშაოები გარდა რუფოთში, სოფრომაძეების უბნისა, რომელიც ასევე მალე დასრულდება. სავარაუდოდ, ეს სოფლები ახალი წლისთვის ონკანებიდან მიიღებენ წყალს...

მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის სოციალური პროგრამით ტელეფაში, ვარლამ არეშიძის სოციალურად დაუცველ ოჯახს ახალი სახლი აუშენეს. ყველა სამუშაო დასრულებულია, დამონტაჟებულია გამათბობელი, ე.წ. „კარმა“.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსების ფარგლებში რუფოთის და აგრეთვე ტელეფის ახალგაზრდების სურვილების გათვალისწინებით მოეწყობა ფეხბურთის 2 მინი სტადიონი. ტელეფაში რობაქიძეების უბანში არსებული სტადიონის შემოღობვასა და სხვა სამუშაოს, აგრეთვე რუფოთში გამგეობის უკან შემოღობვა და მწვანე საფარის დაგება იგეგმება... ორივე პროექტისთვის 20 000-20 000 ლარია გამოყოფილი...

სამუშაოები დაწყებულია, რომელშიც ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ.

ნახშირღელე

ზურაბ ლომთაძის (მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ნახშირღელეში) ინფორმაციით, მერიის სოციალური პროგრამის ფარგლებში, ბადრი ბრეგაძის სოციალურად დაუცველი 4 სულიანი ოჯახისათვის ახალი სახლის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები დასრულებულია. სახლი უკვე აშენებულია, ამ ეტაპზე მიმდინარეობს შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები, რომელიც უმოკლეს ვადაში დასრულდება.

მერიამ ავთო ვირსალაძის სოციალურად დაუცველ ოჯახს შეუძინა და გადასცა საცხოვრებელი სახლის სახურავი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაგეგმილია ნახშირღელეში ძველი წყაროს აღდგენა, რაზეც შესრულდება 10 000 ლარის სამუშაოები. აღნიშნული პროექტები, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობს, ხორციელდება სოფლების მოსახლეობის ინტერესთა გათვალისწინებით.

მზია ცქიფურიშვილი

„მშობლების წყალობით შევიყვარე ეს პროფესია და ვისწავლე ბავშვების უპირობო სიყვარული“

მალხაზ ბუცხრიკიძის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ალისუბნის თემის N2 საჯარო სკოლას წლებია სათავეში დირექტორი ლალი მაკარიძე უდგას. მართალია, მისთვის დირექტორობა არასდროს ყოფილა საოცნებო თანამდებობა, თუმცა სურვილმა—განათლებული საზოგადოების ფორმირებაში თავისი კვალი დატოვოს, უბიძგა თავად აეღო ხელში სადავეები და მიზნის მისაღწევად სკოლის ხელმძღვანელი გამხდარიყო.

ლალი მაკარიძე დირექტორობასთან ერთად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია და კარგად იცნობს პედაგოგთა პრობლემებს, ხშირად სამყაროს ბავშვური წარმოსახვებით უყურებს და ზოგისთვის მეორე დედის როლსაც ასრულებს. როგორც თავად გვეუბნება, მისთვის მნიშვნელოვანია, შექმნას ისეთი გარემო, რომ მოსწავლეებსა და პედაგოგებს უხაროდეთ სკოლის კარის შეღება.

დირექტორი Etaloni.ge-სთან საუბრობს, თუ რა გამოწვევაა სკოლის ლიდერობა, რა სამი მთავარი საკითხია გადასაჭრელი განათლების სისტემაში და საერთოდ, რა მიზნით მოღვაწეობს ამ სფეროში.

—რატომ დაუკავშირეთ თქვენი პროფესიული ცხოვრება განათლების სფეროს?

— ეს ძალიან გაუცნობიერებლად მოხდა. დედაც და მამაც პედაგოგები მყავდნენ, ჩემი უფროსი დის არჩევანიც ეს სფერო იყო, გამომდინარე აქედან, ბავშვობიდანვე, თითქოს გადაწყვეტილი მქონდა, რომ პედაგოგი უნდა გამოვსულიყავი. როცა ვთამაშობდით, მაშინაც კი, მასწავლებლის როლს ვირგებდი. ჩემთვის მასწავლებლების სამყარო ძალიან ახლო, შინაური, თბილი და საპასუხისმგებლო იყო. როცა გავიზარდე ჩემ ბავშვურ ოცნებებს ფრთები შევასხი და ასე გავხდი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. რაც შეეხება დირექტორობას, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ოცნება იყო, თუმცა მამაჩემი 25 წლის განმავლობაში სხვადასხვა სკოლაში დირექტორად მუშაობდა და ამას ყოველთვის სიამაყით ვაცხადებ, ასევე დიდი პატივისცემით იხსენებენ მას ყოფილი მოსწავლეები და პედკოლექტივი, ეს მაძლევდა მოტივაციას. ჩემთვის ეს თანამდებობა, პირველ რიგში, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა!

— ქალბატონო ლალი, თქვენი პროფესიული არჩევანი თქვენმა ოჯახმა განაპირობა... ბავშვების მომავალზე გავლენას, ხშირად მშობლების პროფესია ახდენს, თქვენი აზრით, რა განაპირობებს ამას და რამდენად ამართლებს ეს მიდგომა?

— დიდი როლი ენიჭება მშობელს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მისი მხრიდან არ იყოს ძალდატანება პროფესიის არჩევისას. თუკი შვილი ოჯახურ გარემოში ხედავს, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება მშობელი თავის საქმეს, რომ მისთვის საინტერესო და სასურველია ეს საქმიანობა და ის მხოლოდ, დადებითი ზეგავლენის ქვეშ ექცევა სხვა საკითხია. ბავშვის მოტყუება ყველაზე რთულია! ის, მთელი გულწრფელობით აღიქვამს რეალობას. ჩემს შემთხვევაშიც სწორედ ასე იყო, მთელი ბავშვობა ვხედავდი, როგორი რუდუნებით ეკიდებოდნენ მშობლები თავიანთ საქმეს, მახსოვს, როგორი დიდი გულისტკივილით განიხილავდნენ, თუ რომელიმე მოსწავლე კონკრეტულ საკითხს ვერ სძლევდა, მათი წყალობით მე შევიყვარე ეს პროფესია და ვისწავლე ბავშვების უპირობო სიყვარული. თუმცა, თუკი სხვა რეალობაა—მშობლებისთვის თავიანთი საქმე ყოველდღიურ, სტრესულ რუტინადაა ქცეული და მაინც შთააგონებს შვილს გაჰყვეს თავის კვალს, ეს ბავშვისთვის ძალიან მძიმე გარემოებაა.

—აღნიშნეთ, რომ დირექტორობა არ ყოფილა თქვენთვის საოცნებო თანამდებობა, თუმცა, დღეს სკოლის ხელმძღვანელი ბრძანდებით, რამ განაპირობა ეს და რა პასუხისმგებლობაა თქვენთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორობა?

— როდესაც ხარ ხელმძღვანელი ეს პირველ რიგში არის დიდი პასუხისმგებლობა, არა მარტო ბავშვებისადმი, არამედ მთელი კოლექტივის მიმართ. თუ არ შეგიძლია, რომ აიღო ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე მთელი გულწრფელობით, მაშინ ნამდვილად ვერ გერქმევა ხელმძღვანელი. ვთვლი, რომ ჯანსაღი სოციუმი არის უპირველესი. მასწავლებელს სკოლაში მოსვლა არ უნდა ეზარებოდეს, უნდა ჰქონდეს კომფორტი, რა თქმა უნდა, მატერიალური კუთხით არ ვგულისხმობ. ჩემი სკოლა ურემონტოა, 1976 წელს გაიხსნა და მას შემდეგ არ გარემონტებულა და ეს ცალკე პრობლემაა, ვგულისხმობ კომფორტულ გარემოს, რომელსაც ჯანსაღი ურთიერთობები ქმნის. ჩვენს სკოლაში არის ასეთი გარემო და ამას ყოველთვის სიამაყით ვაცხადებ.

სკოლა ცოცხალი ორგანიზმია და შეიძლება იყოს რაღაც უთანხმოება, მაგრამ ამის მოგვარებას გონივრულად მიღებული გადაწყვეტილებები განაპირობებს და ამას ყველა ერთად ვაკეთებთ. ვცდილობთ, მოსწავლეებმა ჩვენგან სასარგებლო მაგალითები აიღონ. სურვილმა—ჩემი წვლილი შემეტანა მოსწავლეთა წარმატებული მომავლის განსაზღვრასა და განათლებული თაობის აღზრდაში, განაპირობა ის, რომ დღეს სკოლის დირექტორი ვარ.

— აღნიშნეთ, რომ სკოლა სარემონტოა, რაც არაერთი სკოლის პრობლემაა... როგორ მოქმედებს ეს სწავლის ხარისხზე?

— ჩვენი მუნიციპალიტეტის დეპუტატის მხრიდან არის მაქსიმალური მხარდაჭერა, წლის ბოლოს განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურიდანაც იყვნენ მოსულები და იმედი გვაქვს, რომ ამ კუთხით წინ წავიწევთ. მოუწესრიგებელი გარემო, რა თქმა უნდა, მოქმედებს სწავლის ხარისხზე, როცა მასწავლებელი გაკვეთილზე იმაზე ფიქრობს, რომ დაფასთან გასულ მოსწავლეს თავში ბათქაში არ დაეცეს, რასაკვირველია სწავლის პროცესს აფერხებს. ჩვენ სკოლაში არ გვაქვს სააქტო დარბაზი, თუმცა ვაწყობთ მრავალფეროვან ღონისძიებებს, მაისში. რატომ მაისში?—დარბაზის არქონის გამო, წარმოდგენებს გარე სივრცეში ვმართავთ, ამ დროს თბება და ცოცხლდება ბუნებაც. მინდა აღვნიშნო, რომ უნიკალური ეზო გვაქვს, სადაც ხარობს ბზა, მოგეხსენებათ, რომ კოლხური ბზა ბევრ ადგილას განადგურდა, თუმცა ჩვენ, პედაგოგების ძალისხმევით შევინარჩუნეთ. ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდებოდა, ერთი სააქტო დარბაზი რომ გვქონდეს. მოგეხსენებათ, რომ სწავლების ხარისხზე მხოლოდ სასწავლო პროცესი არ ახდენს გავლენას, მათ მაქსიმალურად მოწესრიგებული გარემო უნდა ჰქონდეთ.

—რეგიონის არაერთ სკოლაშია ინფრასტრუქტურული პრობლემა, ტექნიკის მიმართულებით რა მდგომარეობა გაქვთ?

— ამ ეტაპზე 10 მოქმედი კომპიუტერი გვაქვს ბავშვებისთვის და აქტიურად ვიყენებთ ამ რესურსს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ სკოლა გარკვეულწილად აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით. რაც შეეხება სკოლის რემონტს, უკვე ეტაპობრივად დაწყებულია ამ პრობლემის გადაჭრა, რა თქმა უნდა, ასე ერთბაშად ყველა სკოლა ვერ გაკეთდება. თუმცა, მგონია, რომ რამდენიმე წელში საგრძნობლად გამოსწორდება ეს მდგომარეობა. მინდა, რომ ჩემს სკოლაში ეს პროცესი მალე დაიწყოს და ბავშვებმა სრულყოფილ გარემოში ისწავლონ. მოგეხსენებათ, რომ სკოლის ავტორიზაციისთვისაც, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი აუცილებელი პირობა გახლავთ.

—ავტორიზაცია ახსენეთ, რა გამოწვევაა ეს სკოლებისთვის და რამდენად მზად ხართ ამისთვის?

— პირველ რიგში მნიშვნელოვანია სიახლეებისთვის მზად ყოფნა. არ შეიძლება მუდმივად ძველი მოგვწონდეს და ახლის მიღება არ გვინდოდეს. ვთვლი, რომ სკოლის ავტორიზაცია არის ის, რაც სკოლას უკეთებია, ყველა ამ საქმის თავმოყრა და წარმოჩენა. აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს, რას აკეთებს სკოლა და ეს დოკუმენტებით დადასტურდეს, ეს არ არის ცუდი, თუმცა ძალიან შრომატევადია.

—ქალბატონო ლალი, წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ შესაძლებლობა შეცვალოთ 3 რამ განათლების სისტემაში—რას შეცვლიდით?

— დავიწყოთ ინფრასტრუქტურით. მოსწავლეს უნდა უხაროდეს სკოლაში მოსვლა, თუნდაც კარგი ინფრასტრუქტურის გამო. ადრე, ტაძრები ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე იგებოდა და ყველაზე ლამაზი და მაღალი შენობა იყო, ის ყოველთვის პირჯვრის გადაწერის ადგილი არ ყოფილა, იქ ყოველთვის დიდი საქმეები გვარდებოდა, იწერებოდა და ითარგმნებოდა წიგნები, განათლება ტაძრებიდან გადიოდა, ვფიქრობ სკოლაც ასევე უნდა იყოს, ყველაზე მშვენიერი და ლამაზი ნაგებობა დიადი საქმეების საკეთებლად.

აუცილებელია სასკოლო წიგნების გადახედვა, თითქოს კი მიმდინარეობს ეტაპობრივად ხარვეზების აღმოფხვრა, მაგრამ, მაინც მნიშვნელოვანია ამ პრობლემის საფუძვლიანად გადაჭრა. მოსწავლის გონებაზე მორგებული სახელმძღვანელოებია აუცილებელი.

და ბოლოს, შრომითი ანაზღაურება. მე მახსოვს, ახალგაზრდობისას რა ენთუზიაზმით მივდიოდი სკოლაში, მხოლოდ სკოლამდე მივსულიყავი ფეხით - ეს იყო აუცილებელი და შემდეგ ყველაფერი ლაგდებოდა, მე მიყვარდა ჩემი საქმე და მხოლოდ ენთუზიაზმზე ვმუშაობდი, არც კი მახსოვდა ხოლმე, რომელი თვის ხელფასს ვიღებდი, მაგრამ ამ რეალობაში ასე აღარაა და რთულია, დაბალ ანაზღაურებაზე მუშაობა, მხოლოდ ენთუზიაზმზე, რომ აღარ ვისაუბროთ. მართალია, პედაგოგებს გაეზარდათ ხელფასი, მაგრამ ეს მათი გაწეული შრომის შესაბამისი მაინც არ არის. ამავდროულად, სკოლის ადმინისტრაციის ხელფასი ძალიან დაბალია, გაგეცინებათ კიდეც, 600 ლარია ჩემი ანაზღაურება... მე მიყვარს სკოლა და ის საქმე, რასაც ვემსახურები, მაგრამ თუნდაც ოდნავ მაღალი ანაზღაურება არ იქნებოდა ურიგო.

— სახელმძღვანელოები ახსენეთ... რაშია მთავარი პრობლემა?

—სკოლაში სწავლებისას მხოლოდ სახელმძღვანელოებს არ ვიყენებთ და ხშირად სახელმძღვანელოებში არსებული შეცდომების აღმოფხვრაში სწორედ ეს გვეხმარება და პედაგოგებმა იციან, რა არის სწორი და სად არის დაშვებული შეცდომა. არის სადავო ისტორიის სახელმძღვანელოები და ეს პრობლემაც გადასაჭრელია. მნიშვნელოვანია წიგნები, რომლებმაც ბავშვების ცნობიერებაზე უნდა მოახდინონ ზეგავლენა, მაქსიმალურად უხარვეზო და მათ უნარებზე მორგებული იყოს.

— ანაზღაურების საკითხიც რომ განვიხილოთ... რაში ხედავთ გამოსავალს და რამდენად სწორია, რომ მასწავლებლების ძირითად ხელფასს დანამატი სჭარბობს?

— გადაჭრის გზებზე საუბარი გამიჭირდება, თუმცა გეტყვით, რომ მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა ხელფასთან ერთად აიღოს პენსია და ეს ძალიან კარგია. 60 წელი მასწავლებლისთვის არ არის ის ასაკი, რის გამოც სკოლა უნდა დატოვოს. ის, რომ მასწავლებლებისთვის, ძირითად ხელფასზე მეტია დანამატი ვფიქრობ სადაო საკითხია, თუმცა ჩემი სკოლის მაგალითზე, რომ გითხრათ, ამასთან დაკავშირებით პედაგოგებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

— ქალბატონო ლალი, რა არის ის ძირითადი პრობლემები, რასაც ყოველდღიურად აწყდებით მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ურთიერთობისას?

— როგორც აღვნიშნე, სკოლაში გვაქვს საკმაოდ ჯანსაღი გარემო, თუმცა გულისტკივილით მინდა ხაზი გავუსვა ერთ მწვავე საკითხს—ემიგრაციაში წასულ დედებს. ეს ძალიან დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეებზე და მათ ემოციურ ფონზე. როცა დერეფანში გავდივარ და ვხედავ მოსწავლეს, რომელიც მორბის ჩემთან და უცებ შეცბება, ვეღარ ხვდება ჩამეხუტოს თუ არ ჩამეხუტოს, ვგრძნობ, რომ მან ჩემში დედა დაინახა, რა თქმა უნდა, მეც დიდი სიყვარულით ვიკრავ გულში. ვფიქრობ, რომ ხშირად სწორედ ისეთი ბავშვები არიან მეტად გაღიზიანებულები, რომლების დედებიც საზღვარგარეთ არიან წასულები ემიგრაციაში. თუმცა, ყველას გვესმის, რომ დედები ამ ნაბიჯს ისევ თავიანთი შვილების გამო დგამენ და არავისთვისაა ეს სასიამოვნო ამბავი... ჩვენ დედის ფუნქციებიც შეთავსებული გვაქვს და ამას მთელი გულით ვაკეთებთ.

— და ბოლოს, ქალბატონო ლალი, რა არის ის მთავარი მიზანი, რის გამოც მოღვაწეობთ განათლების სფეროში?

— მთავარი მიზანი, ალბათ არის მოსწავლეთა მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა. ვთვლი, რომ ბავშვების სამომავლო მიზნები სწორედ სკოლაში იბადება და მათ უნდა მივცეთ სწორი ორიენტაცია. შეიძლება მოსწავლე ვერ იყოს მაღალი აკადემიური მოსწრებით, მაგრამ მასში აუცილებლად იქნება სხვა პოტენციალი, ჩემი მიზანი კი ამის აღმოჩენა და განვითარებაა.

ზაფხულის ბანაკი დაუვიწყარი ღონისძიებებით

„არც მონაწილეთა სიმრავლე გვაშინებდა და არც იმის მოლოდინი გვქონდა, რომ მუშაობის დაგეგმვა-განხორციელება გაგვიჭირდებოდა, რადგან გვყავს გუნდი-მოსწავლეების, ყოფილი მოსწავლეებისა და თანამშრომლების სახით, რომელსაც ახალგაზრდებისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში ვერაფერი დააბრკოლებს. მოტივაცია იყო ძალიან დიდი, რომ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდასთვის ლამაზი დღე გვეჩუქებინა. წელს ბანაკს ყავდა არა მარტო ჩვენი სკოლისა და თუნდაც ჩვენს სოფელში მაცხოვრებელი თუ სტუმრად ჩამოსული ახალგაზრდა, არამედ დადიოდნენ მეზობელი სოფლებიდან და ქალაქებიდან. ჩვენ არ დავღლილვართ, რადგან უამრავ კმაყოფილ ახალგაზრდას ვხედავდით“ – განაცხადა ჩვენთან საუბარში სიქთარვის საჯარო სკოლის დირექტორმა ია კვატაიამ.

სიქთარვის საჯარო სკოლაში ზაფხულო ინგლისურენოვან ბანაკს სოფლის და არამარტო სოფლის ახალგაზრდო სიხარულით ელოდა. წელს განსაკუთრებული მოლოდინი იყო, რადგან ბანაკს და სკოლას ,,მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე, სოფლის და სკოლის მეგობარი სოსო ჰყავს, რომელიც ორი წლის განმავლობაში ითანამშრომლებს სიქთარვის სკოლაში. არც წინა წლებში აკლდა ბანაკს მონაწილეთა რაოდენობა, მაგრამ წელს 230-მდე ახალგაზრდამ ლამაზი, შინაარსიანი დღე გაატარა სიქთარვის საჯარო სკოლაში. ბანაკი 22 აგვისტოს გაიხსნა და 26 აგვისტოს დაიხურა. აქტივობები 9 საათიდან პირველ საათამდე სრულდებოდა. პრეზენტაციები, ძირითადად, ინგლისურენოვანი იყო. პირველი დღე ძირითადად გაცნობითი ხასიათის იყო, მეორე-მსოფლიო დღე, მესამე-ამერიკის დღე, მეოთხე-ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და ბოლო, დახურვის დღე-საქართველოს დღე. ყოველი დილა გამამხნევებელი ვარჯიშითა და ენერჯაიზერებით იწყებოდა და, ძირითადი აქტივობების გარდა, დღეები შემეცნებითი, გასართობი, მუსიკალური აქტივობებით იყო დატვირთული. ბანაკის მონაწილეები 10 ჯგუფში იყვნენ განაწილებულნი. ჯგუფებს თავიანთი სახელი, დევიზი და შეძახილი ჰქონდათ. პირველიჯგუფი ,,Lost in Time“, ლიდერები ქრისტინა გიორგაძე, ლიზი სულამანიძე, საბა ქარჩხაძე, მარი სულამანიძე. მეორე ჯგუფი ,,Fighters“-ლიდერები ენდი კვატაია, მარი არაბიძე, ლუკა მიქაცაძე, მესამე ჯგუფი ,,მარსელები Martians“-ლიდერები-გიგა კვატაია, ნოდარ კახიძე, ანი ისაკაძე, ბაჩო ცხადაძე, მეოთხე ჯგუფი ,,Giraffe Jose“-ლიდერები ნიკო ლუტიძე, გიორგი ბარბაქაძე, ანი სულამანიძე, მეხუთე ჯგუფი ,,Heat“-ლიდერები თინანო ცხადაძე, გიორგი ცხადაძე, მეექვსე ჯგუფი ,,მეტიყინული More Ice“-ლიდერები გენკა ტოფაძე, ანა მაკარიძე, მაგდა სირბილაძე, კოტე ფოფხაძე, მეშვიდე ჯგუფი ,,ტროა Troy “, ლიდერები ბაია მაკარიძე და ლუკა აბჟანდაძე, მერვე ჯგუფი ,,Jerry“, ლიდერები ზურა ბასილაია, გიორგი მუმლაძე, მეცხრე ჯგუფი ,,OMG!“ ლიდერები ანნა კვატაია, თეკლა მუმლაძე და მეათე ჯგუფი ,,Last Bite ბოლოლუკმა“ ლიდერები ავთანდილ მაჩიტიძე, მაგდა არაბიძე, მარი ფოფხაძე. ბანაკის ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდა სიქთარვის საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლე, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი გრიგოლ რობაქიძე, ინგლისურის მასწავლებლები სოფიკო ვაშაკიძე და ნინო გვენეტაძე. მათ აქტიურად ედგნენ გვერდით სკოლის სხვა თანამშრომლები.

შთაბეჭდილებათა წიგნიდან—

რას ამბობდნენ მოსწავლეები

თინანო ცხადაძე–სიქთარვის საზაფხულო ბანაკი ერთ-ერთი საუკეთესოა. იქ გატარებული ხუთი დღე კი წელს ორასზე მეტი ბავშვისა და ათობით ლიდერისთვის იყო დაუვიწყარი გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ სიქთარვას ყოველწლიურად ვსტუმრობ, ბანაკში ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. ყველაზე დასამახსოვრებელი კი ჩემთვის ის იყო, რომ ბანაკის მიმდინარეობაში, ადგილობრივი მასწავლებლების გარდა, აქტიურად იყო ჩართული ამერიკელი პედაგოგიც. მათი ერთობლივი მუშაობით ბანაკის ბევრი პროექტი ინგლისურენოვანი იყო, რაც მრავალ მონაწილეს დაეხმარა, უცხო ენაზე თავისუფალი კომუნიკაციის ჩამოყალიბებაში. მრავალი სახალისო სპორტული თუ ინტელექტუალური თამაში მონაწილეებს ეხმარება პრეზენტაციის, კომუნიკაციის, ჯგუფური მუშაობისა და ფიზიკური უნარების განვითარებაში. ხოლო ლიდერებმა ორგანიზაციულ საკითხებთან მუშაობის ძალიან მნიშვნელოვანი და თანაც სახალისო გამოცდილება მივიღეთ. ბანაკი სოფლის მაცხოვრებლებისა და სტუმრათვის უკვე შეუცვლელ ტრადიციად ჩამოყალიბდა. მოუთმენლად ველით მომავალ ზაფხულს, რომ კიდევ ერთხელ მივიღოთ ბანაში მონაწილეობა.

ანა ბებიაშვილი–სიქთარვის საზაფხულო ბანაკი– სამი სიტყვა უდიდესი შინაარსით. ეს ბანაკი ჩემთვის ყოველი ზაფხულის ულამაზესი დასასრულია, წელს განსაკუთრებით შამბეჭდავი იყო ბანაკიც ცხოვრება. ბავშვების დიდმა რაოდენობამ საშუალება მომეცა უფრო მეტი მეგობარი შემეძინა. განსაკუთრებით დიდი მადლობა სკოლის ხელმძღვანელობას და ქალბატონ ია კვატაიას, რადგან ჩვენი აზრებისა და შემოქმედების წარსადგენად ყველანაირი ხელშეწყობა გვქონდა მათი მხრიდან (მუსიკალური გაფორმება, ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები, ფორმები) როგორც ყოველთვის მომავალ წელსაც დიდი მოლოდინი მაქვს ზაფხულის.

ლიზი კაკაურიძე–ჩემთვის ბანაკი ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. განვავითარე უნარები, რომელიც დამეხმარება პრეზენტაციების მომზადებასა და წარდგენაში, ასევე შევიძინე ძალიან კარგი მეგობრები, რომლებთაც ერთადაც იმედი მაქვს, შემდეგ წელსაც ისეთივე კარგ დროს გავატარებ, როგორც წელს.

საბა ქარჩხაძე–ეს იყო ჩემთვის საუკეთესო 5 დღე, სადაც შევიძინე მეგობრები, მათთან ერთად ვიყავით ჩართული უამრავ აქტივობაში, როგორც შემეცნებით, ასევე გასართობში. მინდა მადლობა გადავუხადო სკოლის ადმინისტრაციას, რადგან მათ შეძლეს, ეს ყველაფერი ყოფილიყო ბანაკის წევრებისთვის დაუვიწყარი 5 დღე.

ავთანდილ მაჩიტიძე-ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ახალგაზრდა ქუჩაში არ იდგეს და სწორი მიმართულებით დაინტერესდეს. სწორედ ამის სურვილი, მზაობა და შესაბამისობა დავინახე ამ ბანაკში. ამ ხუთმა დღემ, როგორც ლიდერს, მეტად დამანახა პასუხისმგებლობა. როგორც მონაწილეს, საშუალება მომცა, აქტიური ვყოფილიყავი, ჩემი შესაძლებლობები წარმომეჩინა და ახალი, საუკეთესო მეგობრები გამეცნო. ცოტა სუბიექტურიც ვარ და მიხარია, რომ ამ ყველაფერს ჩემი მამიდა უძღვება. ზუსტად ვიცი, ბანაკის მონაწილეთათვის ეს ხუთი დღე დაუვიწყარი იქნება და მომავალი ზაფხულის მოლოდინი-ყველასთვის სანატრელი.

ანნა კვატაია-ძალიან კარგია, რომ ჩემს მშობლიურ სკოლაში ასეთი საინტერესო ამბებია. მიუხედავად დროის სიმცირისა, მიხარია, რომ ლიდერობა შევძელი. ბევრი ფაქტორის გამოა ეს ბანაკი მნიშვნელოვანი. მონაწილეებს მრავალმხრივ შეუძლიათ, უნარი გამოავლინონ: ინგლისურად ისაუბრონ, შემოქმედებითი ნიჭი აჩვენონ, თანამშრომლობითი კულტურა განივითარონ... ჯგუფებში სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მონაწილე იყო და კომუნიკაცია მათ შორის იმდენად ჯანსაღი იყო, ხაზგასასმელია ეს ღირებულება. ჩვენს სოფელში საზაფხულო ბანაკების ტრადიცია აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

ასრულდა ბანაკის გახსნის პირველ დღეს სკოლის დირექტორის ია კვატაიას ნათქვამი, რომ ბანაკში გატარებული ეს ხუთი დღე იქნება იმდენად შთამბეჭდავი, რომ იტყვით–ნეტავ მალე მოვიდეს მომავალი ზაფხული.

მე თითქმის ყოველდღე დავდიოდი ბანაკში–მართლაც ასე ამბობდნენ მონაწილენი–ერთმა მშობლემა თქვა–სადა აქვს ამ ქალს ამდენი ენერგიაო. ენერგიაც აქვს და ბავშვების დიდი, უპირობო სიყვრული, უყვარს საქმე რომელსაც აკეთებს და იღებს სამაგიეროს–იგი უყვართ მოსწავლეებს.

ჟუჟუნა ცხადაძე

მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით

ერთ თვეზე მეტია სიქთარვის ადმინისტრაციულ შენობაში ფუნქციონირებს ლიბერთი ბანკის ექსპრეს ფილიალი. ფილიალი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10 საათიდან 17 საათამდე, შაბათს 10 საათიდან 14 საათამდე. ფილიალში მოსახლეობას შეუძლია შემდეგი მომსახურების მიღება: აიღოს პენსია, ხელფასი, სოციალური დახმარება, გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, გადარიცხოს თანხები ბიუჯეტში, აიღოს სამომხმარებლო, აგრო, ბიზნეს სესხები, საპენსიო სესხი, მიიღონ და გააგზავნონ ფულადი გზავნილები.

მოსახლეობას მომსახურებას უწევს ექსპრესის მოლარე-ოპერატორი ნანა ყვავაძე.

მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იცის ამ მომსახურების შესახებ, სარგებლობენ კიდეც და კმაყოფილებიც არიან.

დასუფთავების აქცია

ხუთ სექტემბერს სიქთარვაში (მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გიზო ხანიაშვილი) დასუფთავების აქცია ჩატარდა. გასუფთავდა ცენტრალური მაგისტრალის და სოფლის ცენტრალური გზის ორივე მხარე, რაც კარგია, მაგრამ, გააჩნია ვისთვის. ვინც შენს დაყრილ ნაგავს იღებს, მისთვის, მთლად სასიამოვნო არ უნდა იყოს. რბილად რომ ვთქვათ ქუჩებში ნაგვის დაყრა უპასუხისმგებლობის და დაბალი კულტურის მაჩვენებელია. არ გვეკადრება, მითუმეტეს, როცა, რომ იტყვიან სანაგვე ყუთები ყოველ ფეხის ნაბიჯზეა. ცენტრალური მაგისტრალის სანაპიროზე მანქანებიდან სიგარეტის კოლოფების, ცელოფნების პარკების, ნაყინების ქაღალდების თუ ჭიქების, ბოთლების გადმომყრელი სად ვეძებოთ!

ჟუჟუნა ცხადაძე

შემოდგომის ხიბლი

შერჩეული სიტყვებით ისეთნაირად შეავსეთ ცენტრალური სვეტი, რომ იკითხებოდეს „შემოდგომის ხიბლი“, რამეთუ ამ ორი სიტყვის მნიშვნელობა არასდროს მცირდება და... სიყვარულთან, ქორწილებთან, ძეობებთან... ასოცირდება!

კროსვორდი



პასუხები: შრომა. რთველი. მამული. დონდღლაბი. მტევანი. გოგრა. ქორწილი. შრომა. მარანი. სარცხი. ხარება. ქინძმარაული. ქიშმიში. ხიბლი. თერჯოლა. ცოლიკაური.

მუნიციპალური საფეხბურთო ტურნირების ექო

აგვისტოს თვის მეორე და მესამე დეკადები თერჯოლის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებულად იყო დატვირთული საფეხბურთო ტურნირებით. აგვისტოში ჩატარდა ქართლოს ჭუმბურიძის სახელობის IX ტურნირი მინი ფეხბურთში. ამავე თვეში აიღო სტარტი მუნიციპალიტეტის სასოფლო ტურნირებმა, რომლებიც ორშაბათს, 11 სექტემბერს დასრულდა მარიამ ბარდაველიძის სახელობის თასის ფინალური მატჩით სოფელ ბარდუბანში. აღსანიშნავია, რომ ამ ფინალს ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, რომელმაც გამარჯვებულ გუნდს პირადად გადასცა მარიამ ბარდაველიძის სახელობის გარდამავალი თასი.

ტრადიციულად, ოქტომბრის თვეში ჩვენი სოფლების ფეხბურთელები ერთმანეთს მუნიციპალიტეტის ჩემპიონობას შეეცილებიან მუნიციპალიტეტის აწგარდაცვლილი მერის, ლაშა გოგიაშვილის სახელობის ტურნირზე, რომლის ფინალი ოქტომბრის მესამე დეკადაში—თერჯოლობის ზეიმის დღეს—ტრადიციული ღვინის ფესტივალზე გაიმართა.

ქართლოს ჭუმბურიძის სახელობისა...

ბარდუბნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სოფელ სათემოში, ... აგვისტოს, გაიმართა ქართლოს ჭუმბურიძის სახელობის ტრადიციული საფეხბურთო IX მინი-ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სოფლების :ქვედა სიმონეთის, ბარდუბნის, სათემოს, ეწრის და ზედა სიმონეთის რვა გუნდმა,. გუნდები ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი. დაძაბული ჯგუფური მატჩების შემდეგ, ტურნირის გადამწყვეტი თამაშები ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა.

მესამე ადგილი: „ეწერი" ეწერი - „მერცხალი" ბარდუბანი 2-3 (1-2)

ფინალი: „სათემო" ბარდუბანი - „ზედა სიმონეთი" ზედა სიმონეთი 3-3 ძ.დ. პენ. 5-4

ამ მატჩებში მონაწილე გუნდებმა, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს შოვში ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნას.

ფინალური მატჩის დაწყებამდე, ქართლოს ჭუმბურიძის მეგობარმა, უეფას მედია-ოფიცერმა, მამუკა კვარაცხელიამ, მაისურებით და ბურთებით დაასაჩუქრა ზედა სიმონეთის, ქვედა სიმონეთის და ბარდუბნის საჯარო სკოლების მეორეკლასელები, რის შემდეგ მან „სახალისო ფეხბურთის" პროგრამით ბავშვებს რამდენიმე ვარჯიში ჩაუტარა, რასაც მაყურებელი დიდი მოწონებით შეხვდა.

ფინალურ შეხვედრას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები: სოფელ ბარდუბანში რომან ბარდაველიძე, სოფელ ზედა სიმონეთში ზვიად ბაზაძე, ქართლოს ჭუმბურიძის მეგობარი უეფას მედია-ოფიცერი, მამუკა კვარაცხელია, სათემოს უბნის სტადიონის დამაარსებელი, ელგუჯა აბულაძე, ქართლოს ჭუმბურიძის უფროსი ვაჟი, კახა ჭუმბურიძე, იმერეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დავით რუხაძე და თანამშრომლები.

დავით რუხაძემ, მამუკა კვარაცხელიამ და ქართლოს ჭუმბურიძის უფროსმა ვაჟმა კახა ჭუმბურიძემ, თავიანთ გამოსვლაში მადლობა გადაუხადეს ტურნირში მონაწილე გუნდებს, გულშემატკივრებს, განსაკუთრებულად გაუსვეს ხაზი ტურნირის ჩატარებას და ორგანიზებულობის სათანადო დონეს.

ტურნირის პრიზიორები გახდნენ:

I ადგილი „სათემო" ბარდუბანი—I ადგილის მფლობელები დაჯილდოვდნენ გარდამავალი თასით, I ადგილის თასით, შესაბამისი მედლებითა და დიპლომი. პრიზები გადასცეს ქართლოს ჭუმბურიძის ვაჟმა კახა ჭუმბურიძემ და უეფას მედია-ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ.

II ადგილი „ზედა სიმონეთი" ზედა სიმონეთი—II ადგილის მფლობელები დაჯილდოვდნენ შესაბამისი თასით, მედლებითა და დიპლომით - პრიზები გადასცა ირფფ-ს პრ-მა დავით რუხაძემ.

III ადგილი „მერცხალი" ბარდუბანი—III ადგილის მფლობელები დაჯილდოვნენ შესაბამისი თასით, მედლებითა და დიპლომით - პრიზები გადასცა ზვიად ბაზაძემ (მერის წარმომადგენელი სოფელ ზედა სიმონეთში).

აგრეთვე დაჯილდოვდნენ ტურნირის გამორჩეული ფეხბურთელები, რომლებსაც გადაეცათ ინდივიდუალური პრიზები:

მსაჯები—ბექა კუნჭულია, მიხეილ კუპატაძე დაჯილდოვდნენ ბურთებით—ბურთები გადასცა ირფფ-ს საშეჯიბრო უფროსმა მენეჯერმა ნუგზარ რუსიშვილმა.

ფინალური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი—ირაკლი ფუტკარაძე („სათემო").

მაყურებლის სიმპატია—საბა რობაქიძე („ეწერი").

საუკეთესო მეკარე—ნიკა სულამანიძე („ზედა სიმონეთი") .

საუკეთესო მცველი—საბა ბარდაველიძე („მერცხალი") .

საუკეთესო თავდამსხმელი—ნიკა ფანჩულიძე („ზედა სიმონეთი") .

საუკეთესო ბომბარდირი—თორნიკე ჭუმბურიძე („სათემო").

საუკეთესო ფეხბურთელი—ზაზა სამანიშვილი („სათემო").

ბომბარდირები:

1. თორნიკე ჭუმბურიძე („სათემო") -12
2. ნიკა ფანჩულიძე („ზედა სიმონეთი") -11
3. აკაკი ღვინეფაძე („LMNTRIX") - 7
4. ვახტანგ ფუტკარაძე („სათემო") - 6
5. საბა რობაქიძე („ეწერი") - 6
6. იასონ რობაქიძე („მერცხალი") - 6
7. დიმა არეშიძე („მერანი") - 5
8. ირაკლი ფუტკარაძე („სათემო") -5

სიქთარვა

სიქთარვაში სასოფლო საფეხბურთო ტურნირის ფინალამდე ექვსი გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს, ფინალში კი, რომელიც სიქთარვის საჯარო სკოლის კეთილმოწყობილ სტადიონზე 31 აგვისტოს გაიმართა ერთმანეთს ლუტიძებიის გუნდის „ელვას" და ტაბატაძეების (ჩხარი-ეწელი) „გორას" გუნდი დაუპირისპირდნენ

ერთმანეთს.

ლუტიძეების „ელვას" გუნდში თამაშობდნენ: თორნიკე, ლევან, ირაკლი ლუტიძეები, ლაშა ბუბაშვილი, ნიკა ღიბრაძე, ჯონი სირბილაძე, ვატო ისაკაძე, დათო ნოსელიძე. ტაბატაძეების „გორას" გუნდში თამაშობდნენ: ბაჩო რობაქიძე, ბექა ბუცხრიკიძე, გიორგი ბარბაქაძე, ლუკა ბუცხრიკიძე, ზურა რობაქიძე, ლუკა ჭელიძე, ნოდარ ტაბატაძე, პირველ ტაიმში გუნდს ვერ ეხმარებოდა ბაჩო რობაქიძე, ბექა ბუცხრიკიძე, ზურა რობაქიძე.

პირველი ბურთი ლუტიძეების გუნდის ფეხბურთელმა თორნიკე ლუტიძემ გაიტანა ტაბატაძეების გუნდის კარში. მეორე ბურთით ტაბატაძეების გუნდის წევრმა გიორგი ბარბაქაძემ გაათანაბრა ანგარიში. ამის შემდეგ „ელვას" გუნდის წევრებმა ლაშა ბუბაშვილმა ერთი და თორნიკე ლუტიძემ ორი ბურთი გაიტანეს. მეორე ტაიმში „გორას" ფეხბურთელმა ბაჩო რობაქიძემ ერთი ბურთი გაიტანა. ფინალური შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით ოთხით ორი „ელვას" სასარგებლოდ.

საუკეთესო ფეხბურთელად „ელვას" ფეხბურთელი ლაშა ბუბაშვილი, საუკეთესო ბომბარდირად თორნიკე ლუტიძე, საუკეთესო მეკარედ ლევან ლუტიძე, ხოლო საუკეთესო თავდამსხმელად „გორას" გუნდის ფეხბურთელი ბაჩო რობაქიძე დასახელდა. ნომინაციაში გამარჯვებულ ფეხბურთელებს დიპლომები გადაეცათ, მურმან რობაქიძის სახელობის თასი და ფულადი ჯილდო „ელვას" გადაეცა.

შეჯიბრებას ბაჩი კვატაია მსაჯობდა. „გორას" გუნდის მწვრთნელია გონერი ცხელიშვილი, „ელვას" მწვრთნელი თემურ ლუტიძე. ისინი ცხადია გულშემატკივრობდნენ თავიანთ გუნდებს და ფინალამდე გამართულ ყველა შეხვედრას ესწრებოდნენ.

ფინალურ თამაშს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, სიქთარვის და ახალთერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ჯემალ ისაკაძე, გულშემატკივრები, სკოლის დირექტორი ია კვატაია—კი ექვსივე გუნდის თამაშს ესწრებოდა, თითოეული ფეხბურთელი სიქთარვის საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლეა და „ვერავის გამოვარჩევო"-იამ.

გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი თასი მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა გიზო ხანიაშვილმა გადასცა.

ფინალური მატჩი დათქმულ ვადაზე თითქმის საათნახევრით გვიან დაიწყო. ელოდებოდნენ „გორას" გუნდის წამყვან ფეხბურთელს—ბაჩო რობაქიძეს, ბექა ბუცხრიკიძეს, ზურა რობაქიძეს. ისინი თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთვნენ, რაც აისახა კიდეც შედეგზე და სანახაობრივ მხარეზე.

გუნდის წევრებს, გულშემატკივრებს შორის იყო მცირე დაპირისპირება, ურთიერთშეკამათება და ბრალდებები, მაგრამ მხარეები მალევე დაზავდნენ. ერთ სოფელში, ერთად გაზრდილმა ბიჭებმა გაუგეს ერთმანეთს. „გორა" ძლიერი გუნდია და იყო გულწყვეტა ანგარიშის გამო.

ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, დიდ სტადიონზეც კი, მოგება და წაგებაც ძმებია-ო ამბობენ.

შიდა საფეხბურთო შეჯიბრებას მერის წარმომადგენლის ასისტენტი ბაჩო ბუსკივაძე უწევდა ორგანიზებას.

ჟუჟუნა ცხადაძე

მხიარულ ტალღაზე

„ტყემალი წამოიღეთ ბლომად, ტყემალიო“...

ეს ამბავი იმ პერიოდში მოხდა, როცა არათუ მობილური ტელეფონი არსებობდა, არამედ ასეთზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო, არადა თუ რამე უჭირდათ ადამიანებს ერთმანეთს შორის დაკავშირება იყო. მაგ. ჩვენს რაიონში, დასავლეთის ზონის სოფლებს, ან წარმოება-დაწესებულებებს რომ შეხმიანებოდი ჯერ ქვედა სიმონეთში მდებარე საფოსტო განყოფილებაში უნდა დაგერეკათ. როდის შეგაერთებდნენ სასურველ აბონენტს, ეს იმაზე იყო დამოკიდებული, იყო თუ არა ხაზი თავისუფალი და ვინც გინდოდათ დროულად შეატყობინებდნენ თუ არა, ასეთი ვითარება ბევრ სიძნელეებს იწვევდა, არცთუ იშვიათად დრამატულსაც.

ერთხელ ნახშირღელეში მეღორეობის ფერმას გაუჩნდა ცეცხლი. საშინელი ქარები იცის ამ სოფელში ზამთარში და ცეცხლიც სულ უფრო ძლიერდებოდა. ეცენ ტელეფონს ფერმის მესვეურები, რათა შეეტყობინებინათ თერჯოლაში სახანძრო ნაწილისათვის შემთხვევის შესახებ. როგორც იქნა დაუკავშირდნენ ქვედა სიმონეთის ფოსტას, მაგრამ აქედან გაჭირდა „პაჟარკამანდასთან“ დაკავშირება.

საკმაო დროის გასვლის შემდეგ, კავშირი როგორც იქნა შედგა და კითხულობენ მეხანძრეები—მეღორეობის ფერმაში წყალი არის სადმე, რომ ავიღოთ, თუ აქედან წამოვიღოთო...

მდგომარეობა სატირალთან ერთად იმდენად სასაცილო იყო, რომ ამ შეკითხვით გაბრაზებულმა, როგორც ჩანს, ენა-კვიმატმა ფერმის მუშაკებმა უპასუხეს—წყალი აღარ გინდათ, ტყემალი წამოიღეთ ბლომად გოჭები უკვე შემწვარიაო.

დანაყრებული მომღერლები და მშიერი სტუმარი

თერჯოლაში სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებთან ერთად უხვად იწარმოებოდა მარცვლეული. ნათესების მოვლა-პატრონობა ზემდგომი უწყებების მხრიდან მუდმივ კონტროლზე იყო. ყოველწლიურად ეწყობოდა ყანების დათვალიერება. ერთხელაც, მორიგ ასეთ ღონისძიებაზე, თერჯოლაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალი რანგის მუშაკი ჩამოვიდა. სტუმარს, დარგის მთელი ელიტა დახვდა და ყანებისაკენ გაუძღვა. კაცი „გალსტუკში“ იხრჩობა, აქეთ-იქით გავატარებთ სავარგულების ნაპირებზე და შემდეგ კარგ მაგიდას მივუსხდებით „ღვინისძიებაზეო“—იფიქრეს მასპინძლებმა. ამის ფიქრში არიან და აიკარწახა სტუმარმა შარვლის თათები, მოიხსნა ჰალსტუხი და ნაპირებზე კი არა, შიგ ყანაში დურთა თავი, მანამ არ გამოვიდა უკან, სანამ ძირითადი ფართობები ფეხი-ფეხზე არ შემოიარა. ერთი სიტყვით სიქა გაიცალა მასპინძლებს, რომლებიც ცხადია სტუმარს გვერდიდან არ მოსცილებიან.

შუადღე რომ წამოვიდა, გვეყოფა ახლა, ურიგოდ არ გიმუშავნიათო ჩამოსულმა და გაღვითქული ჩაჯდა მანქანაში. სად წავიდოდნენ გვარიანად მოშივებულები თუ არა რესტორანში, სადაც მასპინძლებს წინასწარ ჰქონდათ თადარიგი დაჭერილი და კარგ სუფრასთან ერთად რაიონის სიმღერის გუნდის წევრებიც ჰყავდათ მიყვანილი. ამ უკანასკნელთ, პატარა თამამად რომ ვიყოთო, მიურთმევიათ სადილი და ღვინოც კარგა გვარიანად დაუყოლებიათ ზედ.

ლუკმა არ ჰქონდათ გადაყლაპული, კვების ობიექტში სტუმრების შესვლა და... ეგრევე დასჭექეს სიმღერა „მასპინძელსა მხიარულსა“... არ გაუვლია ცოტა ხანს და ახლა მრავალჟამიერი დააგუგუნეს, ისე შევიდნენ როლებში, რომ ვიღა აჩერებთ.

აქეთ რესტორნის დირექტორი მიეახლა მოსულთ, პურ-მარილით დახუნძლულ მაგიდასთან...

კიდევ რა მოგართვათ, რას გვიბრძანებთ ბატონო, შეჰკადრა რაიონის სტუმარს იმერული თავაზით. რას და ეგ მომღერლები გაიყვანე სადმე, ისეთ ადგილას დასვი, მაგენის ხმა არ გავიგონო აქანაო.

„სოფელში ვარ თუ ლასკალაში“...

ცივი ომის პერიოდში უცხოელების ჩამოსვლა იშვიათი ხილი იყო და როცა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ამერიკელი მათემატიკოსი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ტომი დელილო ესტუმრა, ლამის მთელი თბილისი შეიძრა. რა არ აჩვენეს ტომს, ფეხი-ფეხზე შემოატარეს კულტურული ძეგლები, სხვა სანახავი...

ძალიან მომწონსო ქართული პოლიფონია, სოფლის ცხოვრებასაც მინდა გავეცნო და თუ სადმე ასეთ ადგილას წამიყვანთ დიდად დამავალებთო სტუმარმა. უკეთეს ადგილას სად წაიყვანდნენ თუ არა ჩვენს რაიონში, კერძოდ, სოფელ ღვანკითში. მით უფრო, რომ ამ ინსტიტუტში სიმღერის გუნდის ლოტბარი ღვანკითელი იუზა კუბლაშვილი იყო, ხოლო მისი ძმა მურმანი ამ სასწავლებლის მათემატიკის ლექტორი.

სოფელიც გააცვნეს, ღვანკითლებმა სტუმარს ისეთი სუფრაც გაუშალეს ჩიტის რძე რომ არ აკლდა. მაგიდა რომ შევიდა ეშხში, სოფლის სიმღერის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ძირითადში თითქმის ყველა კუბლაშვილი იყო, მათ შორის ცნობილი საოპერო მომღერლები ვაჟა და გურამ კუბლაშვილები, ისეთი ტკბილი ქართული სიმღერები დააგუგუნეს, სტუმარი ფეხზე ამდგარი უსმენდათ და თავისებურად აყოლებდათ ხმას...

აღტაცებული ვარ თქვენი სტუმართმოყვარეობით, თქვენი სიმღერებით და ჩემის მხრით მინდა კლასიკური ნაწარმოები შემოგთავაზოთო, სტუმარმა. ესა თქვა, ფორტეპიანოს მიუჯდა და ერთ-ერთი არია შეასრულა კიდეცაბა, ბიჭო, კლასიკურის „კლასი“ ვაჩვენოთო ტომს, გადასძახა ვაჟამ გურამს და წავიდა არიები სოლოსა და დუეტში ცნობილ კომპოზიტორთა ოპერებიდან...

გამაგებინეთ სად ვარ, სოფელში თუ „ლასკალაშიო“—ხელებს შლიდა გაოცებული სტუმარი და ცრემლებს ვეღარ იკავებდა სიხარულისაგან.

ი. ერაძე

სწავლა-მოსწავლეთა

გაზეთი „თერჯოლა“ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გთავაზობთ კროსვორდს „სწავლა მოსწავლეთა“. ეცადეთ რაც შეიძლება სწრაფად მოახერხოთ მწერალ-განმანათლებელთათვის განკუთვნილი უჯრედების შევსება.

კროსვორდი ადვილი შესავსებია—შეეცადეთ დროის მცირე მონაკვეთში მოახერხოთ ეს.

კროსვორდი



პასუხები: კლდიაშვილი. წიგნი. წერეთელი. ყაზბეგი. ერისთავი. გოგებაშვილი. გამსახურდია. იოსელიანი. რუსთაველი. დედაენა. ჭავჭავაძე. ვაჟა-ფშაველა. ბარათაშვილი. ტაბიძე. ასათიანი. დოდაშვილი

მინიატურები მოსწავლეთათვის

— ქართული ენის სიწმინდე მთის ანკარა წყაროს ჩამოგავს;
—რუსთაველი? ვაჟა-ფშაველა? გალაკტიონი? აბა, რა, მაგრამ...
ვერ იქნებოდნენ, თუ არა, ქართული სიტყვა!
— კალამს რასაც უბრძანებ, იმას დაგიწერს—სულს ვერ უბრძანებ!
— სწავლა არის მოსწავლეთა უპირველესი მისია!
რადგანაც, სწავლა ცხოვრების დასაწყისია.

ერთადერთი შეკითხვა უმცროს და უფროსკლასელებს

რედაქციაში ან გაზეთის ფეისბუკგვერდზე პირად შეტყობინებაში გამოგვიგზავნეთ ლაკონური პასუხი კითხვაზე — რა გიშლით ხელს კარგად სწავლაში?

(ყველაზე საუკეთესო მახვილგონივრულ პასუხს გამოვაქვეყნებთ).

სიტყვები...

სიტყვები გვახარებენ, გვაოცებენ, გვიამბობენ...

გრამატიკულ (სალექსიკონო) ენაზე სიტყვა არის ბგერათშეერთება, რომელსაც ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს...

თხოვნა მკითხველს: დაასახელეთ ერთი ჩვეულებრივი სიტყვა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ჩვენს ყოველდღიურ სასაუბრო ენაში, მაგრამ ხშირად აჩენს ეჭვს, საორჭოფოს ხდის ამა თუ იმ მოსაზრებას ან გადაწყვეტილებას, ანუ, როგორც ვიტყვით ხოლმე—„ცივ წყალს ასხამს“ რაიმე იდეის განხორციელებას.

მოგვწერეთ რომელია ეს სიტყვა.

ნუგზარ გამყრელიძე

თათა დიაკონიძე

დიდი მწუხარება დაგვატყდა თავს თათას ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. ძნელია ამ დროს იპოვო სიტყვა, რითაც ვანუგეშებთ მშობლებს, ოჯახს და ახლობლებს...

უფალს ვთხოვთ დაგიმკვიდროს სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ ჩვენო ნაადრევად ჩამქრალო, სიცოცხლეზე და ოჯახზე უზომოდ შეყვარებულო, თვალებბრიალა გოგო, ვუსამძიმრებთ შენს გაუბედურებულ ოჯახს.

ზედა ალისუბნის საბავშვო ბაღი

გაზეთ „თერჯოლის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნიკოლოზ ქოჩიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

უახლოესი მეზობლები სამძიმარს უცხადებენ ოჯახს ექიმის,

რეზო კუტალაძის

გარდაცვალების გამო.

ახალგაზრდები საქართველოს მომავლიდან

სახელმწიფო ასპროცენტიანი გრანტის მფლობელები

სერგი არაბიძე—ჩხარის №1 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.



ნინო ამირანაშვილი—ჩხარის №1 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

ანნა ფართლაძე—ჩხარის №1 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

ანა ცხადაძე—კერძო სკოლა „მზეკაბანი“. ჩაირიცხა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში. მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერების ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი

მარიამ ქოჩიაშვილი—თერჯოლის №1 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნეს ანალიტიკის ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

თეკლა ბრეგვაძე—თერჯოლის №2 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი. ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე.

ნინო აბჟანდაძე—ახალთერჯოლის საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

თორნიკე ცერცვაძე—ქვ. სიმონეთის №2 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის ფაკულტეტზე.

ნიკა კუტალაძე—ძევრის საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნოლოგიების ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872